

მარიამ ბარბიჭაშვილი*

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების პრობლემური საკითხები, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალწარმოებაში დადგენილი სტანდარტების ურთიერთგამიჯნის ძირითადი ასპექტები

წინამდებარე სტატია მიმოიხილავს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებათა ურთიერთგამიჯნის პრინციპულ ასპექტებს, ასევე დღეს არსებულ რეალობას სასამართლო პრაქტიკის ანალიზის სახით. კვლევის ინსპირაციის წყარო გახდა საერთო სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვისას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერებით გამოწვეული ზიანის უზრუნველყოფის მიზანშეწონილობის შესახებ საკითხის აქტუალობა.

კვლევა შესრულდა შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, ასევე საქართველოს საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე. სტატიის არსებითი ნაწილი ეთმობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით აქტის მოქმედების შეჩერებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის დაშვება/დაუშვებლობის პრობლემურ ასპექტებს ადმინისტრაციულ დავაში კერძო პირთა ინტერესების შეპირისპირებისას.

შედარებით-სამართლებრივი კუთხით სტატიაში გამოკვლეულია ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელებისას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში ზიანის უზრუნველყოფის საკითხის ნორმატიული მონერგება და დოქტრინაში დამკვიდრებული შეხედულებები გერმანიის, საფრანგეთის, ლატვიის, ესტონეთის და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითებზე.

მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში ჰპოვებს თავის გამოხატულებას.¹

საკვანძო სიტყვები: სუსპენზიური ეფექტი, ადმინისტრაციული სამართალწარმოება, სამოქალაქო სამართალწარმოება, პრევენციული დაცვის ღონისძიებები, ზიანის უზრუნველყოფა.

1. შესავალი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა.² სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას.³

უფლება ქმედით (ეფექტურ) სასამართლო დაცვაზე, ესაა ამოსავალი პრინციპი პირის უფლების პრევენციული დაცვის ღონისძიებების განვითარებისათვის.⁴

* საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი.

¹ იხ. ციტირება: შმიდტი შ., რიხტერი პ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორის თანამშრომლობის საზოგადოება, (GIZ), 2013, 3.

² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, 14/11/1997, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: 1/3/421.422.

⁴ Sierra de la S., Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from The Right to Effective Court Protection. A Comparative Approach, European Law Journal, [Vol 10]1, 2004, 48.

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტურ წინაპირობას წარმოადგენს.⁵ იურიდიულ დოქტრინაში განვითარებული მოსაზრების თანახმად, ადმინისტრაციული სამართალი ყველაზე უკეთ გამოხატავს სახელმწიფოსა და ხალხის ხასიათს.⁶

პირის უფლების დაცვის დროებით-სამართლებრივი საშუალებები ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფას ემსახურება და მხარეთა შორის დავის დასრულებლამდე ახდენს მოსარჩელის უფლებებისა და ინტერესების დროებით დაცვას და უზრუნველყოფს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების თავიდან აცილებას.⁷

პირის უფლების დროებითი დაცვის ერთ-ერთ საშუალებას ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საკითხი იქნება წინამდებარე კვლევის საგანი.

სტატიაში მიმოხილულია ასევე დღეს არსებული სამართლებრივი რეალობა და შედარებით-სამართლებრივი ჭრილში საკვლევის საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება გერმანიის, საფრანგეთის, ლატვიის ესტონეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითებზე.

2. პირის უფლების პრევენციული დაცვის საპროცესო სამართლებრივი მექანიზმის – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა⁸ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ სარჩელის მიღების შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას ავტომატურ რეჟიმში, თუმცა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სასკ-ის) 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს შემთხვევებს, რა დროსაც გასაჩივრებული აქტი დაცულია „სუსპენზიური ეფექტისაგან“. ერთ-ერთი მათ შორის არის გარემოება, როდესაც გასაჩივრებულია აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი⁹ და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ის ფაქტი რომ სასკ-ის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქ/პ თანახმად, აქტის მოქმედების შეჩერების მექანიზმი არ ვრცელდება აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე, ცალსახად მიუთითებს, რომ აღნიშნული აქტის გამოცემისას პრევალირებს აქტის ადრესატის კანონიერი ინტერესები მოსარჩელის ინტერესებთან მიმართებით და აქედან გამომდინარე სწორედ ამიტომ „დაცული“ აღმჭურველი აქტი სუსპენზიური ეფექტის

⁵ შმიდტი შ., რიხტერი კ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორის თანამშრომლობის საზოგადოება, (GIZ), 2013, 3.

⁶ ლორია ხ., ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება – კანონიერი ნდობის საფუძველი, სამართლის ჟურნალი, №2, 2022, 201, ციტირება: Nalte G., General Principles of German and European Administrative Law- A Comparison in Historical Perspective, the Modern Law Review, 1994, 212.

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №ბს 4770 (კს-23).

⁸ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 29(1), 23.07.1999, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=98>> [16.04.2025].

⁹ იქვე, მუხლი 29 (2).

მოქმედებისაგან. თუმცა ეს „დაცულობაც“ შეიძლება გადაკვეთილი იქნეს ორი გარემოების¹⁰ შემთხვევაში: როდესაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით და ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მისი აღსრულება იმდენად დიდ ზიანს აყენებს მოსარჩელს, რომ სამომავლოდ შეუძლებელს ხდის მისი კანონიერი უფლებისა და ინტერესების დაცვას.

„სუსპენზიური ეფექტი“¹¹ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სწორედაც რომ საჯარო მმართველობის ღონისძიებების შედეგებისაგან პირის უფლების დროებით დაცვას ემსახურება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლის მიზანია მოსარჩელისათვის გასაჩივრებული აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება.¹²

სტატიის მიზნებისათვის საინტერესოა საკითხის შედარებით-სამართლებრივი კვლევა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ამ კუთხით. კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებას და რეცესიულ მოქმედებას¹³, აქვს სუსპენზიური ეფექტი¹⁴, „ადმინისტრაციული სასამართლო წესრიგის შესახებ“ კანონი მოიცავს ასევე შემთხვევებს, რა დროსაც აქტის მიმართ „სუსპენზიური ეფექტი არ მოქმედებს“¹⁵ მითითებულ გარემოებებს შორისაა „სუსპენზიური ეფექტის“ არგავრცელება ისეთი ხასიათის მქონე ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე, რომლებიც მესამე პირს ანიჭებენ გარკვეულ უფლებებს. აღნიშნული მეტნაკლებად მსგავსია საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში მოცემული ნორმატიული მოწესრიგებისა.

გერმანული ადმინისტრაციული პროცესის ერთ-ერთი თავისებურება რაც განასხვავებს მას სამოქალაქო პროცესისგან ესაა- გამოკვლევის პრინციპი,¹⁶ რა დროსაც გერმანელი მოსამართლე აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ საკითხის განხილვისას არ ახდენს ადმინისტრაციული აქტის მართლზომიერების სრულ შემოწმებას, არამედ აფასებს რა უფრო წონადი-ა: საჯარო ინტერესები ადმინისტრაციული აქტის შესრულებისადმი, თუ მოსარჩელის კერძო ინტერესი მისი შეუსრულებლობის მიმართ. ბუნებრივია, რომ ადმინისტრაციული აქტის სავარაუდო მართლწინააღმდეგობა გამოდის, როგორც წონადი არგუმენტი კერძო ინტერესის სასარგებლოდ.¹⁷

¹⁰ იქვე, მუხლი 29 (3).

¹¹ ვაჩაძე მ., თოდრია ი., ტურავა პ., ნეპელაძე ნ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2005, 174.

¹² კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., ღვამიჩავა თ., გვარამაძე თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2018, 336.

¹³ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებასთან დაკავშირებული სარჩელების განხილვისას, მათ შორის აქტის მოქმედების შეჩერების მიზნით სასამართლოს მიერ მისაღები ღონისძიებების შესახებ ნორმები ჩამოყალიბებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ადმინისტრაციული სასამართლო წესრიგის შესახებ“ კანონის მე-80 – 80(b) მუხლებში.

¹⁴ „ადმინისტრაციული სასამართლო წესრიგის შესახებ“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონი, 19.03.1991, მუხ. 80 (1), <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_vwgo/englisch_vwgo.html> [20.01.2025].

¹⁵ „ადმინისტრაციული სასამართლო წესრიგის შესახებ“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონი, 19.03.1991, მუხ. 80 (2), <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_vwgo/englisch_vwgo.html> [20.01.2025].

¹⁶ ხარშილაძე ი., ოვსიანიკოვა ნ., საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, 469.

¹⁷ იქვე, 479.

საინტერესოა საფრანგეთის კანონმდებლობით შემოთავაზებული ჩარჩო ქმედითი სასამართლო დაცვის კონსტიტუციური უფლებების კუთხით, რომელიც მსგავსია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა.¹⁸

საფრანგეთში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე სარჩელის განსახილველად მიღება ავტომატურად არ აჩერებს აქტის მოქმედებას,¹⁹ აქ სიტუაცია უფრო რთულადაა დოქტრინალური თვალსაზრისით, ვინაიდან პირის უფლების პრევენციული დაცვა კონსტიტუციით პირდაპირ აღიარებული არ არის²⁰ თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას სერიოზული და გამოუწონებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს, ასეთ შემთხვევაში კანონი ადმინისტრაციულ მოსამართლეს უფლებას აძლევს, ადმინისტრაციული ორგანოსაგან მოითხოვოს „მოქმედების შეჩერება.“²¹

საფრანგეთის ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კოდექსის 521(1)-521(4) მუხლებში²² გადმოცემულია დროებითი განკარგულების გამომცემი მოსამართლის (**Le Juge des Référés**) მიერ გადაუდებელი უფლებამოსილებების განხორციელების თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ დავის განხილვისას. კერძოდ, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესახებ დავის საგანს წარმოადგენს მისი გაუქმება ან შეცვლა, დროებითი განკარგულების გამომცემი მოსამართლე (**Le Juge des Référés**), უფლებამოსილია, გასცეს ბრძანება (ორდერი) აქტის მოქმედების შეჩერების, ან შეჩერების²³ ალტერნატიული ეფექტის გამოყენების თაობაზე, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობით მოქმედება გამართლებულია და მოკვლევა იძლევა შესაბამის საფუძვლებს დასაბუთებული ეჭვისათვის ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის კანონიერება/უკანონობის შესახებ. აღნიშნული უფლებამოსილება წარმოადგენს მნიშვნელოვან იარაღს მოსამართლის მხრიდან გადაუდებელი მოქმედების კუთხით საქმის არსებით განხილვამდე, ვიდრე საკითხი ადმინისტრაციული სასამართლოების (ადმინისტრაციული ტრიბუნალების) განსჯადი გახდება.²⁴

ყურადსაღები გარემოება ასევე ისიც, რომ აქტის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათი-

¹⁸ *Sierra de la S.*, Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from The Right to Effective Court Protection. A Comparative Approach, *European Law Journal*, [Vol 10]1, 2004, 50.

¹⁹ *ხარშილაძე ი., ოვსიანიკოვა ნ.*, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., თსუ 2014, 420.

²⁰ *Sierra de la S.*, Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from The Right to Effective Court Protection. A Comparative Approach, *European Law Journal*, [Vol 10]1, 2004, 49.

²¹ *ხარშილაძე ი., ოვსიანიკოვა ნ.*, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, 420.

²² საფრანგეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. L521-1 – 521 (4) 01.07.2000, <https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000006070933/LEGISCTA000006136456?dateVersion=20%2F01%2F2025&isAdvancedResult=&nomCode=zm7z5g%3D%3D&page=2&pageSize=10&query=&searchField=ALL&searchProximity=&searchType=ALL&tab_selection=code&typePagination=A RTICLE&typeRecherche=date&anchor=LEGISCTA000006136456#LEGISCTA000006136456> [23.05.2025].

²³ *Bell J., Liche're F.*, Contemporary French Administrative Law, Cambridge University Press, 2022, 104, <https://www.cambridge.org/core/services/aop-cambridge-core/content/view/4817E7D30FB21B384C1C987917DDA08F/9781316511169AR.pdf/Contemporary_French_Administrative_Law.pdf?event-type=FTLA> [23.05.2025].

²⁴ იქვე.

ლობის ან მისი შეცვლის თაობაზე მიიღება უმოკლეს ვადებში, ხოლო სუსპენზიური ეფექტის მოქმედება სრულდება არაუგვიანეს აქტის ბათილად ცნობის ან შეცვლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისა.²⁵

დროებითი განკარგულების გამომცემი მოსამართლე (*Le Juge des Référé*) აქტის მოქმედების შეჩერების კუთხით საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას იღებს ყველა აუცილებელ ზომას პირის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან საჯარო უფლებამოსილების განმხორციელებელი კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ იქნა უხეშად და უკანონოდ დარღვეული.²⁶

რაც შეეხება ლატვიას²⁷, მას შემდეგ რაც 2004 წლის 1 თებერვალს ძალაში შევიდა ლატვიის ადმინისტრაციული მართლმსაჯულების აქტი²⁸, რომელშიც გაერთიანებულია როგორც ადმინისტრაციული წარმოების (ადმინისტრაციულ ორგანოებში) ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნორმები, 185-ე მუხლის მიხედვით²⁹, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სასამართლოში სასარჩელო განცხადების შეტანა აჩერებს სადავო აქტის მოქმედებას შესაბამისი განცხადების მიღების დღიდან.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილი³⁰ მიუთითებს იმ შემთხვევებზე, როდესაც განცხადების შეტანა არ აჩერებს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას, რაც მეტნაკლებად არის მსგავსი საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული შემთხვევებისა.

ესტონეთის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის³¹ 24-ე თავში სადაც პირის უფლების წინასწარი დაცვის საშუალებებია გადმოცემული, სასამართლოს მიერ შუალედური ბრძანების მიღების შედეგად განხორციელებულ ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს სწორედ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება.³²

²⁵ საფრანგეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. L521, 01.07.2000, <https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000006070933/LEGISCTA000006136456?dateVersion=20%2F01%2F2025&isAdvancedResult=&nomCode=zm7z5g%3D%3D&page=2&pageSize=10&query=&searchField=ALL&searchProximity=&searchType=ALL&tab_selection=code&typePagination=ARTICLE&typeRecherche=date&anchor=LEGISCTA000006136456#LEGISCTA000006136456> [23.05.2025].

²⁶ იქვე, მუხ. L521-2, მოსამართლე (*Le Juge des référés*) შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს 48 საათის განმავლობაში.

²⁷ ლატვიაში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისა და რეფორმების შედეგად, ისევე როგორც სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოება, ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ხორციელდება სამი ინსტანციის მეშვეობით: რაიონული ადმინისტრაციული სასამართლო (პირველი ინსტანცია), რეგიონული (საოლქო) ადმინისტრაციული სასამართლოები და უმაღლესი ინსტანცია – უზენაესი სასამართლოს სენატის ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის დეპარტამენტი.

²⁸ Thill J., *The Grand Duchy of Luxemburg*, Ed. by Jörg Gerkrath, Besselink L., Bovend'Eert P., Broeksteeg H., de Lange R., Voermans W., *Constitutional Law of The EU Member States*, University of Amsterdam 2014, 1005-1006, <<https://core.ac.uk/download/pdf/11860047.pdf>> [23.05.2025].

²⁹ ლატვიის რესპუბლიკის აქტი ადმინისტრაციული მართლმსაჯულების შესახებ, 25.10.2001, ძალაში შევიდა 01.02.2004, მუხ. 185 (1), <https://constitutionnet.org/sites/default/files/Admin_Pro_Law.Latvia.pdf> [22.05.2025].

³⁰ იქვე, მუხ. 185 (2).

³¹ ესტონეთის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 01.01.2012, მუხ. 249, <<https://www.riigiteataja.ee/en/eli/512122017007/consolide>> [23.05.2025].

³² იქვე, მუხ. 251 (1).

რაც შეეხება საერთო სამართლის ისეთ ქვეყანას, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, აქ ადმინისტრაციული სამართალი არეგულირებს ადმინისტრაციული დაწესებულებების (**Administrative Agencies**) უფლებამოსილებებს და საქმიანობის წესს, ასევე სასამართლოების კონტროლს ადმინისტრაციულ დაწესებულებებზე.³³ ამერიკის შეერთებულ შტატებში ადმინისტრაციული დაწესებულებების შესაბამისი თანამდებობის პირები³⁴ ახორციელებენ კვაზისასამართლო საქმიანობას, რომელიც სწორედ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების (**Administrative Adjudication**) სახელითაა ცნობილი³⁵

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო სისტემის უფლებამოსილება³⁶, განახორციელოს მართლმსაჯულება და მათ შორის კონტროლი ადმინისტრაციული დაწესებულებების საქმიანობაზე³⁷ რეგლამენტირებულია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მესამე მუხლით. მაშინ როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე საჩივრის მოსმენა, მათ შორის საჩივრის განხილვა არა მხოლოდ კანონიერების კუთხით, არამედ ფაქტობრივი შესწავლის თვალსაზრისითაც ხდება ადმინისტრაციულ მოსამართლესთან, რომელიც ახორციელებს კვაზისასამართლო საქმიანობას ადმინისტრაციულ დაწესებულებებში,³⁸ უშუალოდ ფედერალური და შტატების სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების მარეგულირებელი ნორმები³⁹ ჩამოყალიბებულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ ფედერალურ კანონში (**APA**)⁴⁰ (შემდგომში ფედერალური კაპ-ი) და ასევე უშუალოდ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის მომწერი-გებელ ნორმატიულ აქტებში.

APA (ფედერალური კაპ) -ის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია⁴¹, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ბრძანების სახით (**Injunction**) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე (მათ შორის არა მხოლოდ აქტის, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების შეჩერების შესახებაც) რომლის შესრულება სავალდებულოა

³³ ხარშილაძე ი., *ოვსიანიკოვა ნ.*, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, 538.

³⁴ თავდაპირველად მოიხსენიებოდნენ ტერმინით "Hearing Examiners" მოგვიანებით კი ეწოდათ ადმინისტრაციული მოსამართლე, რომლებიც ახორციელებს კვაზისასამართლო საქმიანობას და აღჭურვილია ფართო უფლებებით, ანალოგიურად იმისა, როგორიც გააჩნია მოსამართლეს სამოქალაქო პროცესზე. დამატებით გააჩნიათ საკუთარი ინიციატივით საქმის განხილვისათვის საჭირო მტკიცებულებათა მოძიების უფლებამოსილებებიც. აღნიშნული თანამდებობის პირები საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებენ ადმინისტრაციულ ორგანოებში.

³⁵ ხარშილაძე ი., *ოვსიანიკოვა ნ.*, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, 583.

³⁶ იქვე 579.

³⁷ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური და შტატების სასამართლოებისადმი მიმართვა ხდება პეტიციის ან სარჩელის მეშვეობით, პეტიციით მიმართვა ხდება სააპელაციო სასამართლოში, ხოლო სარჩელით – საოლქო სასამართლოებში.

³⁸ Cane P., *Judicial Review and Merits Review: Comparing Administrative Adjudication by Courts and Tribunals*, *Comparative Administrative Law*, Vol: 10.4337/97, 441, <<https://articles.sk/book/99485222/505591/comparative-administrative-law-judicial-review-and-merits-review-comparing-administrative-adjudi.html>> [21.05.2025].

³⁹ Levinson L.H., *Interim Relief at Administrative Procedure: Judicial Stay, Administrative Stay, And Other Interim Administrative Measures*, *The American Journal of Comparative Law*, [Vol. 42, 1994] 639. <<https://www.deepdyve.com/lp/oxford-university-press/interim-relief-in-administrative-procedure-judicial-stay-X2Fv9EV3bM?key=OUP>> [22.05.2025].

⁴⁰ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კანონი ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ ინიცირებული იქნა სენატის მიერ 11.06.1946 წელს.

⁴¹ Blachly F.F. & Oatman E.M., *Federal Administrative Procedure Act*, *Geo. L. J.* [Vol.34: 407, 1946] 422.

ადმინისტრაციული ორგანოსათვის, რათა პირის უფლებისა და ინტერესების დაცვის კუთხით მოხდეს არსებული მდგომარეობის შენარჩუნება დავის განხილვის დასრულებამდე.⁴² შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ბრძანებით პრევენციულად ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციული ორგანოს (**Administrative Agencie**) ქმედების ძალაში შესვლის თარიღის ერთგვარი გადადება.

2.1. ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების შემთხვევაში

სასამართლოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხის კვლევისას აქტუალობას იძენს აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის არსებობის საკითხი. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის განხილვისას ლოგიკურ ბმაში შევხებით კანონიერი ნდობის საკითხს და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების შედეგად ზიანის ანაზღაურების საკითხს უშუალოდ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე.

კანონიერი ნდობის პრინციპის დეფინიციას იძლევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი⁴³ და მასში ივარაუდება აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატის მყარი რწმენა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან გარკვეული მოქმედების განხორციელების შესახებ.⁴⁴

თავად კანონიერი ნდობის საკითხის წარმოშობა⁴⁵ ნიშნავს იმას, რომ ადგილი აქვს აღმჭურველი სახის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას, რასაც საფუძვლად უდევს მმართველობის „კანონიერების პრინციპი“ რომლის აღდგენის მიზნით ხდება სწორედ უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება. აღნიშნულ პრინციპს უპირისპირდება კანონმდებლის მიერ აღიარებული აქტის ადრესატის „კანონიერი ნდობის“ პრინციპი. ორივე პრინციპი კონსტიტუციური რანგისაა და გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ასევე ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ამოცანაა, კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისას მოხდეს ამ ორი პრინციპის შეპირისპირებით თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღება.⁴⁶ სწორედაც, რომ კანონიერი ნდობის არსებობა-არარსებობის საფუძველზე⁴⁷ მოსარჩელის მოთხოვნა შეიძლება უკავშირდებოდეს აქტის გამოცემას, ქმედების განხორციელებას, ასევე მათ შორის აღმჭურველი აქტის არსებობის შენარჩუნებას.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე უკანონო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება აქტის ადრესატისათვის ხდება სწორედ მისი კანონიერი ნდობის გათვალისწინებით⁴⁸ და თავად ადრესატის მოთხოვნა

⁴² იქვე.

⁴³ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 9 (1), 25/06/1999, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

⁴⁴ ლორია ხ., ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება – კანონიერ ნდობის საფუძველი, სამართლის ჟურნალი, №2, 2022, 214.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2024, 243.

⁴⁷ ლორია ხ., ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება – კანონიერ ნდობის საფუძველი, სამართლის ჟურნალი, №2, 2022, 214.

⁴⁸ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2024, 250.

ნის საფუძველზე და უნდა აუნაზღაურდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით მიყენებული ქონებრივი ზიანი. შესაბამისად, კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე აქტის მიმართ არის დაცვის ღირსი,⁴⁹ მაშინ როდესაც გაცილებით წონად არგუმენტაციას მოთხოვს ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სასამართლოს მიერ პრევენციული ღონისძიების ეტაპზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის დაკისრება მოსარჩელისათვის.

კანონიერი ნდობის გამომრიცხველ გარემოებად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მიიჩნევს აქტის ადრესატის უკანონო მოქმედებას, თუმცა ის ფაქტი, თუ რა განიხილება „უკანონო მოქმედებად“ არის შეფასებითი კატეგორია. საინტერესო განმარტებაა გაკეთებული მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ თავის გადაწყვეტილებაში⁵⁰, სადაც განხილულია შემთხვევა, როდესაც მხარე, აქტის ადრესატი არის მენარმე. მოცემულ დავაში სასამართლომ კანონიერი ნდობის ერთგვარ კრიტერიუმად განსაზღვრა წინდახედული და კეთილსინდისიერი ეკონომიკური ოპერატორის მიერ განხორციელებული საქმიანობა.

3. ზიანის ანაზღაურების საკითხი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების დროს საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ქრილში

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების/უზრუნველყოფის პრობლემური საკითხის განხილვისას არ შეიძლება არ შევეხოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებას⁵¹, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლოს ეთხოვა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 31-ე მუხლებთან მიმართებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის (ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქ/პ -აღმჭურველი აქტის ნაწილში) და 31-ე მუხლის (მხოლოდ კერძო სამართლის სუბიექტთა ინტერესების დაპირისპირებისას) კონსტიტუციურობა, როდესაც არ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უზრუნველყოფის გარანტია, ასევე სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების წესი.

ძირითადად კონსტიტუციურ წარდგინებაში აქცენტირება გაკეთებულია ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში კერძო სამართლის სუბიექტების ინტერესების შეპირისპირებისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტისა და მასთან დაკავშირებული ზიანის უზრუნველყოფის გარანტიის, ასევე სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გადმოტანაზე. წარდგინების ავტორი ამოდის მხარეთა შეჯიბრებითობის უპირო-

⁴⁹ იქვე, 244.

⁵⁰ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, Arrêt du 30 novembre 2017, Red Bull/EUIPO–Optimum Mark, <<https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=216554&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=4685038>> [21.01.2025].

⁵¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 07 აპრილის N1587 კონსტიტუციური წარდგინება <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11044>> [20.01.2025].

ბო დაცვის პრინციპიდან და აღნიშნული თეზისის განმტკიცებით ცდილობს გაამყაროს სამოქალაქო სტანდარტის ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში გადმოტანის აუცილებლობა.⁵²

სასამართლოს მიერ პირის უფლების დროებითი დაცვის პრევენციული ღონისძიების სახით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების/უზრუნველყოფის პრობლემური საკითხი განსაკუთრებული მგრძნობელობით გამოირჩევა ისეთი აღმჭურველი ხასიათის მქონე აქტების დაცვის განხილვისას – როგორცაა მშენებლობის ნებართვები. ვინაიდან მოცემულ დავაში მოსარჩელეთა (ძირითადად მშენებლობის არეალში მცხოვრები მოსახლეობის) კანონიერ ინტერესებს მშენებელ დევლოპერთა ინტერესები უპირისპირდება.

მშენებლობის ნებართვების კანონიერების შესახებ საკითხი ხშირადაა საერთო სასამართლოებში დაცვის საგანი. უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის ნებართვა⁵³ ესაა საქართველოს კონსტიტუციით და სამშენებლო კანონმდებლობით გარანტირებული უფლების ერთი კონკრეტული შემთხვევის ამსახველი სამართლებრივი დოკუმენტი და მისი გაცემის აუცილებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიზნად ისახავს არა ამ უფლების შეზღუდვას, არამედ ახდენს უფლების რეალიზაციის პროცესის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას.⁵⁴

მშენებლობის ნებართვის გაცემით ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობა უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოებისას მშენებლობის ნებართვის მაძიებლის კერძო ინტერესებსა და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსი დაცულია.

შინაარსობრივი თვალსაზრისით საჯარო ინტერესი თავის მხრივ მოიცავს ინდივიდუალურსაც, უფრო კონკრეტულად კი იგი ან ემსახურება კერძო ინტერესის რეალიზაციას, ან კოფლიქტში შედის მასთან.⁵⁵

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვამდე მათ შორის დღეს არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ უზენაესი სასამართლოს განმარტებით⁵⁶ ადმინისტრაციული სამართალწარმოება არ ცნობს ზიანის უზრუნველყოფის გარანტიის ინსტიტუტს. განჩინებაში უპირობოდ გამიჯნულია უფლების დაცვის წინასწარი საშუალებები სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიხედვით, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო სტანდარტის ადმინისტრაციულ პროცესში გამოყენების დაუშვებლობის შესახებ განმარტება არ არის საკმარისად განვრცობილი, კერძოდ, კი მასში არაა მითითებული მესამე პირთა უფლებების თაობაზე.

⁵² იქვე.

⁵³ ჟურნალია დ., მშენებლობის სანებართვო ადმინისტრაციული წარმოება როგორც მშენებლობის უსაფრთხოების განხორციელების მექანიზმი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2020, 193.

⁵⁴ კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., (რედ), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008, 345.

⁵⁵ ბერიძეშვილი, თ., ბონე ე., დეპე ი., სვანიშვილი ს., ლაბაძე მ., ტურავა პ., ფუჟნერი გ., ქარდავა ე., ყალიჩავა კ., ხიმტოვანი გ., ხუბუა გ., (სამეც. რედ.), ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ტ. IV, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, თსუ, თბ., 2018, 69.

⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 09 იანვრის განჩინება საქმეზე №ბს-1562 (უს-19), განჩინებაში სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დაუშვებელია სამოქალაქო სამართლებრივი სარჩელის უზრუნველყოფის და მასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მექანიზმის (ზიანის ანაზღაურების შებრუნების) გამოყენება.

კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებულია⁵⁷, რომ კერძო პირთა ინტერესების ურთიერთდაპირისპირების საფუძვლები მოცემულია სასკ-ის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქ/პ-ში, ასევე 31-ე მუხლში რაც იმთავითვე მცდარი მიგნებაა, რადგან მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ დავაში, მხარე რომელიც ითხოვს პრევენციული ღონისძიების გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას/უზრუნველყოფას, წარმოადგენს არა მოპასუხეს თვისობრივად, არამედ მესამე პირს. მოპასუხე მოცემულ შემთხვევაში არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, მიუხედავად იმისა რომ სამშენებლო საკითხებზე დავის განხილვისას ჩნდება ერთგვარი ილუზია მხოლოდ კერძო პირთა ინტერესების შეპირისპირებისა, მაშინ როდესაც აქტის გამომცემი ორგანო აღნიშნული პროცესის მიღმაა. შესაბამისად, კონსტიტუციური წარდგინების მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება მოსარჩელისა და მესამე პირის ინტერესები.

კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოქვეყნდა სასამართლო მეგობრის მოსაზრება⁵⁸, სადაც ფრიად განასხვავებული და საინტერესო მიგნებებია სასკ-ის 29 (2) და 31-ე მუხლების კონსტიტუციურობასთან მიმართებით. თავად უფლების დაცვის დროებითი საშუალებების განსხვავებულობა ახდენს გავლენას მესამე პირის უფლებაზე, მოითხოვოს დროებითი დაცვის საშუალების გამოყენებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება და შესაბამისად, უზრუნველყოფის გარანტია.⁵⁹ აქტის ადრესატის კანონიერ ნდობასთან დაკავშირებით საინტერესო პოზიციაა გაჟღერებული სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში, რომლის მიხედვით, აქტის ადრესატს გამოცემული აქტის მიმართ კანონიერი ნდობა წარმოეშობა მხოლოდ აქტის გასაჩივრების ვადის გასვლის შემდგომ, მაგრამ არა გასაჩივრების ვადებში. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, აქტის მოქმედების შეჩერება არ იწვევს ზიანს, რამდენადაც გასაჩივრების ვადებში აქტის საფუძველზე განხორციელებული ქმედება ქმნის ზიანის რისკს, რომელიც რჩება მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში და ვერ წარმოშობს საკუთრების უფლების დაცვის კონსტიტუციურ უფლებას.

იმავე სასამართლო მეგობრის მოსაზრების მიხედვით, განსხვავებული შედეგია სასკ-ის 31-ე მუხლთან მიმართებით. ამ შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნული მუხლი არ ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემოწმებას, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარ მონესრიგებას, მესამე პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს მოსარჩელის მიერ გამოყენებული უფლების წინასწარი მონესრიგების საპროცესო საშუალების გაუმართლებელი გამოყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. რაც შეესატყვისება კიდევ თეორიაში დამკვიდრებულ მიდგომას ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში პირის უფლების დაცვის სასკ-ის 31-ე მუხლით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების გაუმართლებლად გამოყენების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.⁶⁰

⁵⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 07 აპრილის N1587 კონსტიტუციური წარდგინება <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11044>> [20.01.2025].

⁵⁸ სასამართლო მეგობრის მოსაზრება, ავტორი პაატა ტურავა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 07 აპრილის საკონსტიტუციო წარდგინებასთან დაკავშირებით, 29.12.2021, <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13002>> [05.02.2025].

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., (რედ) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008, 386.

სტატიის საკვლევი საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე დღეს არსებული საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოებისათვის ერთგვარ გზამკვლევად და ნორმის სახელძღვანელო/დოქტრინალურ განმარტებად მიჩნეულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 09 იანვრის განჩინებაში მოცემული განმარტებები ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით მოცემული უფლების დაცვის დროებითი საშუალებების გამოყენების პრიორიტეტულობის შესახებ. როგორც საერთო სასამართლოების პრაქტიკის შენაწილიდან გამომდინარე ირკვევა⁶¹, წმინდად კერძო პირთა ინტერესების შეპირისპირების შემთხვევაში, ისეთი მაგალითად, როგორიცაა რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა, კერძო პირის ქონებაზე ყადაღის დადება და ა.შ. სასამართლო უფლებამოსილია, გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში გამოიტანოს მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის შებრუნების შესახებ განჩინებაც. მაგალითისათვის შესაძლებელია მოშველიებული იქნას პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, სადაც ადმინისტრაციულ დავაში მოსარჩელე – ადმინისტრაციული ორგანო ითხოვს მოპასუხის კუთვნილ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე (სატრანსპორტო საშუალებაზე) ყადაღის დადებას. აღნიშნული საკითხის განხილვისას სასამართლომ განმარტა, რომ სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე ვინაიდან სასამართლომ მიერ დროებითი ღონისძიების გამოყენების მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, კონკრეტული გარემოებების შეფასებიდან გამომდინარე, გამართლებულად მიიჩნია ვარაუდი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის თაობაზე. იქვე განმარტა, რომ დროებითი ღონისძიების ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას და შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნია მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი დროებითი ღონისძიების სახით – ყადაღის დადება მოპასუხის კუთვნილ ქონებაზე.⁶²

სასკ-ის 29-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში⁶³, სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული მუხლით მინიჭებული უფლების რეალიზაციის მეშვეობით კანონი პირს უბრუნებს იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც სადავო აქტის გამოცემამდე არსებობდა. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ აქტის მოქმედების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო არ ახდენს მოსარჩელის მოთხოვნის მართლზომიერების შემოწმებას⁶⁴, სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის ჩანაწერიდან გამომდინარე სასამართლო აჩერებს

⁶¹ იხ. განჩინებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 თებერვლის განჩინება საქმეზე №3/769-21, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 07 ივლისის განჩინება საქმეზე №3/3757-20, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 16 მაისის განჩინება საქმეზე №3/3410-24, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ივლისის განჩინება საქმეზე №3/4827-17 (მოძიებულია არქივიდან).

⁶² თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 თებერვლის განჩინება საქმეზე №3/769-21 (მოძიებულია არქივიდან).

⁶³ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 07 დეკემბრის განჩინება საქმეზე №3/9368-15 (მოძიებულია არქივიდან).

⁶⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 11 აგვისტოს განჩინება საქმეზე №3/4770-21 (მოძიებულია არქივიდან).

აქტის მოქმედებას, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი მისი კანონიერების თაობაზე⁶⁵, რომ აქტის შემდგომი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს, იმ ხარისხით, რომ შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის შემდგომში დაცვას. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს ყოველ კონტრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებისას უნევს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი⁶⁶ იმის თაობაზე, გადანონის თუ არა მოსარჩელის ინტერესი საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, ან მესამე პირთა ინტერესს, რომელსაც ემსახურება გასაჩივრებული აქტის მოქმედება.

საერთო სასამართლოების პრაქტიკის კვლევიდან გამომდინარე დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში პირის უფლების პრევენციული დაცვის ეტაპზე სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფისა და უზრუნველყოფის შებრუნების გამოყენება ხდება ინდივიდუალურად, საქმის გარემოებების და რისკების შეფასების საფუძველზე და წარმოადგენს სასამართლოს მიხედულობის საკითხს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საქმის საბოლოო განხილვის შედეგად, სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტუდება სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობა, აქტის ადრესატს, რომელსაც აქვს კანონიერი ნდობა აქტის მიმართ, შეუძლია მოთხოვოს ზიანის ანაზღაურება უკანონო აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოსაგან დამოუკიდებლად, ცალკე სასარჩელი მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის შედარებით-სამართლებრივ კვლევას, საფრანგეთის ურბანიზმის კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, მშენებლობის ნებართვის კანონიერების თაობაზე ადმინისტრაციული სარჩელი მოსარჩელის კანონიერი ინტერესის სახით დასაშვებობის საკმაოდ დეტალიზებულ კრიტერიუმებს დაექვემდებარა.⁶⁷ ზემოაღნიშნული კოდექსის მე-600 მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის აქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების გადამეტების თაობაზე სარჩელის შემთხვევაში, აქტის მოქმედების შეჩერებით, რომელიც აზიანებს აქტის ადრესატს, გამონეული ზარალის ანაზღაურება გათვალისწინებულია არა ზიანის უზრუნველყოფის (შებრუნების) სახით, არამედ დამოუკიდებლად, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც აქტის ადრესატის მიერ წარედგინება ადმინისტრაციულ მოსამართლეს ცალკე საჩივრის მეშვეობით.⁶⁸

რაც შეეხება გერმანიას, გერმანულ ადმინისტრაციულ პროცესში, ზოგადად, ზიანის უზრუნველყოფის შებრუნება დასაშვებია, თუმცა არა აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით დავების განხილვისას. „ადმინისტრაციული სასამართლოს წესრიგის შესახებ“ გერმანიის

⁶⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 13 მაისის განჩინება საქმეზე №3/1736-24 (მოძიებულია არქივიდან).

⁶⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება საქმეზე №3/6154-17 (მოძიებულია არქივიდან).

⁶⁷ ყალიჩავა კ., ალაბიშვილი მ., მოსარჩელის კანონიერი ინტერესის ორმაგი ბუნება და ქართულ ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში, მისი გამოყენების პრაქტიკის კრიტიკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, „საჯარო სამართლის ჟურნალი“ № 2, 2023, 24.

⁶⁸ საფრანგეთის რესპუბლიკის ურბანიზმის კოდექსი, მუხლი L600-7, ბოლო ცვლილება, 23.11.2018 წ., <https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000006074075/LEGISCTA000006107992/#LEGI SCTA000006107992> [22.05.2025].

ფედერაციული რესპუბლიკის კანონი ცალსახად გამორიცხავს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ პროცედურული ნორმების გამოყენებას ამავე კანონის 80-80(a) ნორმების ფარგლებში, კერძოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ დავის განხილვისას აქტის მოქმედების შეჩერების დროს.⁶⁹

ლატვიის რესპუბლიკის ადმინისტრაციული მართლმსაჯულების შესახებ აქტის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის⁷⁰ მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების შემთხვევაში, რომელიც მის ადრესატს ანიჭებს რაიმე უფლებას, ადმინისტრაციული ორგანო და შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვალდებულია აუნაზღაუროს ადრესატს აქტის გაუქმებით მიყენებული ზიანი ცალკე სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე.

4. ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების ურთიერთგამიჯვნის ძირითადი ასპექტები

ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო წესრიგს შორის სხვაობა სწორედ ამ ორი სამართალწარმოების მახასიათებელი ძირეული პრინციპებიდან გამომდინარეობს.

მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს გარემოებას, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში⁷¹ შეჯიბრებითობის პრინციპის, რომლის განუხრელად გატარებაც ხდება სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებისას და წარმოადგენს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპს, პარალელურად მოქმედებს სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი. ადმინისტრაციული პროცესი გამოირჩევა ინკვიზიციური ბუნებით. ინკვიზიციური პრინციპის არსი კი გამომდინარეობს მნიშვნელოვნად საჯარო ინტერესებიდან, რომელიც ყოველთვის თან სდევს ადმინისტრაციულ დავებს და უპირისპირდება კერძო ინტერესებს.⁷²

ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ფუნდამენტური განმასხვავებელი ნიშანი ესაა საჯარო მმართველობის კონტროლი, რომელიც მიმართულია უფრო მეტად მოქალაქისა და კერძო სამართლის სხვა პირთა სუბიექტური უფლებების დაცვისაკენ და იგი უნდა განხორციელდეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის სრული დაცვის პირობით.⁷³ იგი წარმოადგენს გარეგანი კონტროლის ერთ-ერთ სახეს⁷⁴ და მისი მიზანია საჯარო-სამართლებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

⁶⁹ „ადმინისტრაციული სასამართლო წესრიგის შესახებ“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონი, 19.03.1991, მუხლი 123 (5), <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_vwgo/englisch_vwgo.html> [22.05.2025].

⁷⁰ ლატვიის რესპუბლიკის აქტი ადმინისტრაციული მართლმსაჯულების შესახებ, 25.10.2001, ძალაში შევიდა 01.02.2004, მუხლი 85 (3), <https://constitutionnet.org/sites/default/files/Admin_Pro_Law.Latvia.pdf> [22.05.2025].

⁷¹ ღვამიჩავა თ., საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში, (შედარებითი ანალიზი) სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2017, 52.

⁷² იქვე, 54.

⁷³ ბერიძეშვილი, თ., ბონე ე., დეპე ი., სვანიშვილი ს., ლაბაძე მ., ტურავა პ., ფუკნერი გ., ქარდავა ე., ყალიჩავა კ., ხიმტოვანი გ., ხუბუა გ., (სამეც. რედ.), ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ტ. IV, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, თსუ, თბ., 2018, 362-363.

⁷⁴ კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2018, 13.

სუბიექტური საჯარო-სამართლებრივი უფლების აღიარება აძლევს პირს შესაძლებლობას, თავისი უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. უფლების დაცვის სისტემის ფარგლებში მოქალაქე და ადმინისტრაციული ორგანო თანაბარუფლებიანი სუბიექტების დონეზე დგანან.⁷⁵

ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში არსებობს პრეზუმცია, რომ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოცემული აქტი თავისთავად შეიცავს საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსს, ხოლო აქტის სადავოდ გახდომის შემთხვევაში ეს პრეზუმცია ირღვევა და სასამართლოს მიერ ხდება აქტის კანონიერების შესწავლა⁷⁶. პრევენციული დაცვის ეტაპზე კი ხდება აქტის მოქმედების შეჩერება, როდესაც სასამართლოს წარმოეშობა საფუძვლიანი ეჭვი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით. კვლევაში აქცენტირებული საკვანძო საკითხების მიმოხილვის და დღევანდელი სამართლებრივი რეალობის, ასევე სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ პრევენციული ღონისძიების სახით აქტის მოქმედების შეჩერებით გამოწვეული ზიანი მეტწილად გამოწვეულია სწორედ იმ ფაქტით, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ადმინისტრაციული წარმოებისას ძირითადი პრინციპების უგულვებელყოფით.

ისევე და ისევე, ადმინისტრაციულ მართლმსაჯულების მთავარი მახასიათებელი – ესაა საჯარო მმართველობითი საქმიანობის კანონიერებაზე კონტროლი, ხოლო სამოქალაქო პროცესში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსი გადანაცვეტილების აღსრულებაუნარიანობაზე გადის, რაც თვის მხრივ სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფის მიზანს⁷⁷ ემსახურება, რათა შეიქმნას მოსარჩელის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სამართლებრივი გარანტიები.⁷⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადანაცვეტილებაში აღნიშნავს სასამართლო გადანაცვეტილების აღსრულების მნიშვნელობის თაობაზე⁷⁹, სწორედ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სარჩელით მიმართვა სასამართლოსათვის არ ატარებდეს ჰიპოთეტურ ხასიათს, არამედ უნდა შეიცავდეს ლეგიტიმურ მოლოდინს იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ გადანაცვეტილება აღსრულდება.

ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოებათა ურთიერთგამიჯვნის ქრილში, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თუ სამოქალაქო პროცესში სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი – ესაა გადანაცვეტილების აღსრულებაუნარიანობა, რაც დამოკიდებულია კერძო პირთა ინტერესებზე და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაზე, აღნიშნულისაგან

⁷⁵ ბერიძეშვილი, თ., ბონე ე., დეპე ი., სვანიშვილი ს., ლაბაძე მ., ტურავა პ., ფუქნერი გ., ქარდავა ე., ყალიჩაძე კ., ხიშტოვანი გ., ხუბუა გ., (სამეც. რედ.), ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ტ. IV, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, თსუ, თბ., 2018, 373.

⁷⁶ ალაპიშვილი მ., პრევენციული დაცვის ღონისძიებით მიყენებული ზიანის უზრუნველყოფის საკითხი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ დავის განხილვისას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2022, 229.

⁷⁷ ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2018, 7.

⁷⁸ ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბ., 2006, 520.

⁷⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანაცვეტილებები: „აპოტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ 28.11.2006, *Hornsby v Greece, Judgment of 19 March 1997, Mutishev and Others v. Bulgaria judgment of 03 December 2009.*

განსხვავებით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში პრევენციული ღონისძიებების გამოყენება საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობისათვის ხდება, თუმცა აღნიშნულის მიზანი არაა კერძო პირთა ინტერესების პრევალირება, არამედ სახელმწიფოს მმართველობითი უკანონო საქმიანობის აღმოფხვრაა საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების საფუძველზე, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო სტანდარტის გადმოტანით ერთიანად დაირღვევა ადმინისტრაციული იუსტიციის ერთგვარი „ნესრიგი“ რაც გამოარჩევს კიდეც მას სამოქალაქო პროცესში არსებული ინტერესთა წმინდად კერძო-სამართლებრივი კონფლიქტისაგან.

5. დასკვნა

სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოხოვნებს.⁸⁰

სტატიის მთავარი პრობლემური საკითხის კვლევის შედეგად, დასკვნის სახით ყურადღება გასამახვილებელი იმ ფაქტზე, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ საქმის განხილვის დროს კერძო პირთა ინტერესების დაპირისპირების პრიზმაში სამოქალაქო საპროცესო სტანდარტების უპირობოდ გადმოტანას ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ზიანის უზრუნველყოფის სახით, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების პრინციპებთან შეუსაბამო რეალობაში გადაყვავართ, განსხვავებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული პრევენციული დაცვის მექანიზმის გამოყენებისას, რომელიც ემსახურება არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას, არამედ სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღმჭურველი შედეგის წინასწარ მოპოვებას, სადაც მესამე პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს უფლების წინასწარი მოწესრიგების საშუალებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რაც შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ასევე უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებითაც. პირველი ინსტანციის სასამართლომ მის მიერ მიღებულ დროებით განჩინებაში განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისას სასამართლოს უნდა შეექმნას რწმენა და ალბათობის მაღალი ხარისხით დასაბუთებული ვარაუდი, რომ დროებითი განჩინებით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება, ვინაიდან დროებითი განჩინების მიზანია არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. შესაბამისად, კონკრეტულ საქმეზე დროებითი განჩინების გამოტანისას სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგება განმცხადებლის დაცვის უზრუნველყოფის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს.⁸¹

ის რომ ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოების გამიჯვნის აუცილებლობა იმთავითვე წარმოიშობა, აღნიშნული საკითხი ცალსახადაა წარმოჩენილი წინამდებარე სტატიაში შედარებით-სამართლებრივ კვლევაში მოცემული ქვეყნების მაგალითებზეც.

⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594.

⁸¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივნისის დროებითი განჩინება საქმეზე №3/975539 (მოძიებულია არქივიდან).

ადმინისტრაციული მართლმსაჯულების დამოუკიდებელი განვითარების საჭიროებისა და შესაბამისი რეფორმების აუცილებლობიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში მყოფი კერძო პირის ინტერესების კონფლიქტისას, საკვლევი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე უფლების დაცვის საუკეთესო ალტერნატივად ისევ და ისევ სამოსამართლო პრაქტიკის უკეთ განვითარების შესაძლებლობა ისახება, რასაც არა მხოლოდ თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული სამართლის განვითარებისათვის.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 23/07/1999.
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997.
3. ვაჩაძე მ., თოდრია ი., ტურავა პ., ნეპელაძე ნ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2005, 174.
4. კობალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., (რედ), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008, 345, 386.
5. კობალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., ღვამიჩავა თ., გვარამაძე თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2018, 13, 336.
6. შმიდტი შ., რიხტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორის თანამშრომლობის საზოგადოება, (GIZ), 2013, 3.
7. ლორია ხ., ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება – კანონიერი ნდობის საფუძველი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2022, 201, 214.
8. ალაპიშვილი მ., პრევენციული დაცვის ღონისძიებით მიყენებული ზიანის უზრუნველყოფის საკითხი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ დავის განხილვისას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2022, 229.
9. ჭურღულია დ., მშენებლობის სანებართვო ადმინისტრაციული წარმოება როგორც მშენებლობის უსაფრთხოების განხორციელების მექანიზმი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, „სამართლის ჟურნალი“, № 2, 2020, 193.
10. ხარშილაძე ი., ოესიანიკოვა ნ., საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, 420, 469, 538, 579, 583.
11. ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2024, 243-244, 250.
12. ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტიტუტის სასამართლოში, თბ., 2006, 520.
13. ყალიჩავა კ., ალაპიშვილი მ., მოსარჩელის კანონიერი ინტერესის ორმაგი ბუნება და ქართულ ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში, მისი გამოყენების პრაქტიკის კრიტიკა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, „საჯარო სამართლის ჟურნალი“ №2, 2023, 24.
14. ღვამიჩავა თ., საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში, (შედარებითი ანალიზი) სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2017, 52.
15. ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2018, 7.
16. ბერიძიშვილი თ., ბონე ე., დეპე ი., სვანიშვილი ს., ლაბაძე მ., ტურავა პ., ფუკნერი გ., ქარდავა ე., ყალიჩავა კ., ხიშტოვანი გ., (სამეც. რედ.): ხუბუა გ., ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ტ. IV, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, თსუ, თბ., 2018, 69, 362-363, 373.

17. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 16 მაისის განჩინება საქმეზე №3/3410-24.
18. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 13 მაისის განჩინება საქმეზე №3/1736-24.
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 10 აპრილის განჩინება საქმეზე №ბს 551 (კს-23).
20. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 11 აგვისტოს განჩინება საქმეზე №3/4770-21.
21. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 თებერვლის განჩინება საქმეზე №3/769-21.
22. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 07 ივლისის განჩინება საქმეზე №3/3757-20.
23. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივნისის დროებითი განჩინება საქმეზე №3/975539.
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 09 იანვრის განჩინება საქმეზე №ბს-1562.
25. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება საქმეზე №3/6154-17.
26. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ივლისის განჩინება საქმეზე №3/4827-17.
27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594.
28. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 07 დეკემბრის განჩინება საქმეზე №3/9368-15.
29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: 1/3/421.
30. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: „აპოტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ 28.11.2006, *Hornsby v Greece*, Judgment of 19 March 1997, *Mutishev and Others v. Bulgaria* judgment of 03 December 2009.
31. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, *Arrêt du 30 novembre 2017*, *Red Bull/EUIPO–Optimum Mark*.
32. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 07 აპრილის N1587 კონსტიტუციური წარდგინება.
33. სასამართლო მეგობრის მოსაზრება, ავტორი პაატა ტურავა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 07 აპრილის საკონსტიტუციო წარდგინებასთან დაკავშირებით, 29.12.2021.
34. „ადმინისტრაციული სასამართლო წესრიგის შესახებ“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონი, 19/03/1991.
35. საფრანგეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კოდექსი, 01/07/2000.
36. საფრანგეთის რესპუბლიკის ურბანიზმის კოდექსი, 26/07/1994.
37. ლატვიის რესპუბლიკის აქტი ადმინისტრაციული მართლმსაჯულების შესახებ, 25/10/2001.
38. ესტონეთის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 01/01/2012.
39. *Bell J., Liche're F.*, *Contemporary French Administrative Law*, Cambridge University Press, 2022, 104.
40. *Sierra de la S.*, *Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from The Right to Effective Court Protection. A Comparative Approach*, *European Law Journal*, Vol 10, 1, 2004, 48-50.

41. *Nalte G.*, General Principles of German and European Administrative Law- A Comparison in Historical Perspective, the Modern Law Review, 1994, 212.
42. *Thill J.*, The Grand Duchy of Luxemburg, Ed. by *Jörg Gerkrath*, *Besselink L.*, *Bovend 'Eert P.*, *Broeksteeg H.*, *de Lange R.*, *Voermans W.*, Constitutional Law of The EU Member States, University of Amsterdam 2014, 1005-1006.
43. *Cane P.*, Judicial Review and Merits Review: Comparing Administrative Adjudication by Courts and Tribunals, Comparative Administrative Law, Vol: 10.4337/97, 441.
44. *Levinson L.H.*, Interim Relief at Administrative Procedure: Judicial Stay, Administrative Stay, And Other Interim Administrative Measures, The American Journal of Comparative Law, Vol. 42, 1994, 639.
45. *Blachly F.F. & Oatman E.M.*, Federal Administrative Procedure Act, Geo. L. J. Vol.34, 1946, 422.
46. <<https://matsne.gov.ge/document/view/16492?publication=100>> [16.04.2025].
47. <https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000006074075/LEGISCTA000006107992/#LEGISCTA000006107992> [22.05.2025].
48. <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_vwgo/englisch_vwgo.html> [20.01.2025].
49. <https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000006070933/LEGISCTA000006136456?dateVersion=20%2F01%2F2025&isAdvancedResult=&nomCode=zm7z5g%3D%3D&page=2&pageSize=10&query=&searchField=ALL&searchProximity=&searchType=ALL&tab_selection=code&typePagination=ARTICLE&typeRecherche=date&anchor=LEGISCTA000006136456#LEGISCTA000006136456> [23.05.2025].
50. <https://constitutionnet.org/sites/default/files/Admin_Pro_Law.Latvia.pdf> [22.05.2025].
51. <<https://www.riigiteataja.ee/en/eli/512122017007/consolide>> [23.05.2025].
52. <<https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=216554&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=4685038>> [21/01.2025].
53. <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11044>> [20.01.2025].
54. <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13002>> [05.02.2025].
55. <https://www.cambridge.org/core/services/aop-cambridge-core/content/view/4817E7D30FB21B384C1C987917DDA08F/9781316511169AR.pdf/Contemporary_French_Administrative_Law.pdf?event-type=FTLA> [23.05.2025].
56. <<https://core.ac.uk/download/pdf/11860047.pdf>> [23.05.2025].
57. <<https://articles.sk/book/99485222/505591/comparative-administrative-law-judicial-review-and-merits-review-comparing-administrative-adjudi.html>> [21.05.2025].
58. <<https://www.deepdyve.com/lp/oxford-university-press/interim-relief-in-administrative-procedure-judicial-stay-X2Fv9EV3bM?key=OUP>> [22.05.2025].